

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მაცნე
№5, 1966

ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის გამო

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექტის დამდგენმა
კომისიამ)

გიორგი არაბული

#71

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შემდეგდროინდელ მოლექსეთა და პოემის გადამწერთა მიერ ჩამატებულია მრავალი სტროფი, ან ნებისთი თუ უნებლიედ შეცვლილია არა ერთი სიტყვა და გამოთქმა. საუკუნეთა მანძილზე ეს ჩამატებული სტროფები და გადასწორებული ადგილები ისე დამკვიდრდა ნაწარმოებში, რომ მკვლევრებსა და რედაქტორებს გულმოდგინე მუშაობა უხდებოდათ ნამდვილი რუსთველისეული ტექსტის გამოსარჩევად აუარებელი ნაყალბევისაგან. ეს ყოველთვის ვერ ხერხდებოდა და „წმენდას“ ზოგჯერ ეწირებოდა რუსთაველის ნამდვილი სტროფებიც, ძირითად ტექსტში კი დღემდე შემორჩა ბევრი აშკარად ყალბი სტროფი. ამ წერილში განვიხილავთ პოემის ერთ ადგილს, სადაც ჩვენი აზრით, ტექსტის სწორედ ასეთი, თანდათანობითი, ცვლის კვალი ჩანს.

ავთანდილი დაბრუნდა არაბეთს. მეფემ და დიდებულებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მისი მგზავრობისა და უცხო მოყმის პოვნის ამბავი. შემდეგ ავთანდილმა თინათინს ცალკე უამბო ტარიელის თავგადასავალი და ისიც გაანდო, რომ კვლავ უნდა წასულიყო მის დასახმარებლად.

სატრფოსთან შეხვედრამ ავთანდილს სიყვარულის ცეცხლი გაუახლა, ხოლო იმის შეგნებამ, რომ მას კვლავ ხანგრძლივად უნდა დაშორებოდა, მწუხარებაში ჩააგდო. ის ღამე ტირილითა და ოხვრით გაათენა. მეორე დილას სასახლიდან კაცი ეახლა, - მეფე სანადიროდ იწვევდა. ნადირობა ნადიმით დამთავრდა, რაც ასეა აღწერილი:

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი მინდორს რულნი,
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი! (722)

ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა
ბაგეთა გასჭვირს ბროლ-ლალს, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა.

ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,
უტარიელო ხსენება არვისგან იკადრებოდა, (723).

ყმა მივიდა გულ-მოკლული, ცრემლი ველთა მოედინა.
მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.
ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა!
რაც ა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა! (724)

#72

ამ ნაწყვეტში აუცილებლად შეინიშნება, რომ მოქმედებები სათანადოდ მოტივირებული არაა და ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად გაუმართლებელი სიტუაციების გამო მთელი ეპიზოდის აზრი ძნელად და ზერელედ აღიქმება.

ჯერ ერთი, ნაწარმოებიდან ვიცით, რომ სულ ცოტა ხნის წინ ორჯერ უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, თუ ავთანდილმა როგორ დაწვრილებით უამბო ტარიელის თავგადასავალი და საკუთარი მგზავრობის ამბავი მეფესა და დიდებულთ, ცალკე კიდევ თინათინს (687-691 და 696-700 სტროფები) რომ მისი ხელახლად მოსმენა მაინც სასიამოვნო იქნებოდა და ამ ამბის დეტალების თხრობა დღეების მანძილზე რომ გრძელდებოდა, ეს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ამისი საგანგებოდ აღნიშვნა მხატვრული (კომპოზიციური) თვალსაზრისით უკვე გაუმართლებელია და უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთაველი, როგორც მაღალი გემოვნების პოეტი, ასეთ საჩოთირო გამეორებას არ მიმართვდა, თუ ეს აუცილებელი არ იქნებოდა, ამისი აუცილებლობა კი არ არის; მას შემდეგ, რაც ავთანდილმა განუცხადა სატრფოს, კვლავ უნდა წავიდე ტარიელის დასახმარებლად, მკითხველის ყურადღების ცენტრში დადგა ავთანდილის ფიქრები და განცდები, ამდენად უცხო მოყმის ამბავი დროებით უკანა პლანზე გადავიდა.

მეორე, უფრო თვალსაჩინო შეუსაბამობა შემდეგია: 723-ე სტროფში ცხადად იგრძნობა ავთანდილის სამხიარულო განწყობილება სამეფო ნადიმზე. იგი იცინის და ხალისით ყვება ტარიელის ამბავს, რასაც იქ მყოფნი მოკრძალებით ისმენენ. ეს მხიარულება მოულოდნელია, ვინაიდან წინა ეპიზოდებიდან ვიცით, რომ ავთანდილი საერთოდ ნაღვლიანი და დამწუხრებულია. შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი განგებ თამაშობს უზრუნველი ჭაბუკის როლს და სახალხოდ არ ამხელს თავის წუხილს, მაგრამ მისი საქციელის ნამძალდევობასა და ხელოვნურობაზე პოეტი არაფრით არ მიაწინებს. თანაც მომდევნო სტროფში ვკითხულობთ: „ყმა მივიდა გულმოკლული ცრემლი ველთა მოედინა“ (724,1). განწყობილებისა და სიტუაციის შეცვლა იმდენად შეუმზადებელი და მოულოდნელია, რომ მკითხველი ვერ გეგულობს, სად მოსვლაზეა ლაპარაკი. ამან ზოგი მკვლევარიც კი შეცდომაში შეიყვანა და აფიქრებინა, თითქოს სანადიმო სუფრასთან მისვლა იგულისხმებოდეს. ეს კი შეუძლებელია; 723-ე სტროფის ამ ეპიზოდში არსებობა თუნდაც შემთხვევითად მივიჩნიოთ და მისი შინაარსი სულაც რომ უგულვებელვყოთ, 722-ე სტროფში, -

შემოიქცეს, ...შეიტანეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი" - ერთ-ერთი პირველთაგანი ავთანდილი იგულისხმება. აქ მოტანილი წინადადება ასე უნდა გავიგოთ: მეფე და ავთანდილი ნადირობიდან დაბრუნდნენ და სასახლეში შეიყოლეს დიდებულნი, თავადნი და სპანი (ავთანდილი ხომ პირველი დიდებულთაგანია, სპასპეტი და სახელმოხვეჭილი გმირი)¹.

მაშ, 724,1-ში სუფრასთან მისვლა არ იგულისხმება, რადგან ავთანდილი უკვე იჯდა იქ და როცა მესამე სტრიქონში ვკითხულობთ: „ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა“, ვხვდებით, რომ ლაპარაკი ყოფილა თურმე სახლში (იმავე ქალაქში არსებულ საკუთარ თუ დროებით ბინაში) მისვლაზე, რადგან დასაძინებლად დაწოლა მას მხოლოდ საკუთარ ბინაში შეეძლო.

#73

724-ე სტროფში რომ ავთანდილის სახლში მისვლა იგულისხმება, ამას ადასტურებს მომდევნო სტროფებიც (725-728). რამდენადაც ეს ფაქტია, იმდენად უცნაურია, ასე მოულოდნელად როგორ გაჩნდა სახლში ან როდის დატოვა ის დიდებული ნადიმი? უეჭველად აქ რაღაც აკლია, რომ გაიზას აზრობრივი ძაფი 723 და 724 ან 722 და 724 სტროფებს შორის.

პოემის ხელნაწერებში ეს ეპიზოდი შეიცავს კიდევ ორ სტროფს, რომლებიც ძირითად ტექსტში დაბეჭდეს თავიანთ გამოცემებში მ. ბროსემ (1841 წ.) ს. კაკაბაძემ (1927 წ.) და კ. ჭიჭინაძემ (1934 წ.). ეს სტროფები მოსდევს 723 სტროფს, იმ ხელნაწერებში კი, სადაც არა თვით 723, ისინი თავსდება 722 და 724 სტროფებს შორის. ამჟამად ჩანართად მიჩნეული სტროფებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი (1956 წელს დაბეჭდილი ვრცელი რედაქციით - 888):

ყმაძან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმცა გამოჰპირდა?²

მართალა, თუ საუბარსა აძვირებდა, ძვირად ღირდა;

სმა გარდახდა, გაიყარეს, ყმა წავიდა, მიცასჭირდა,

ვეღარ გასძლო, გული მისი აუჩუყდა³, აუტირდა.

ადვილი ასახსნელია, რატომ ვერ მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველ, ვახტანგისეულ გამოცემაში ეს სტროფი (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის აუცილებლად იქნებოდა იმ ხელნაწერებში, რომლებითაც ვახტანგის კომისია ხელმძღვანელობდა). მისი შინაარსი ეწინააღმდეგება 723-ე სტროფს. ხოლო ტექსტის განხილვის დროს, რადგან 722-ე სტროფის აზრი შეუფერხებლად გრძელდებოდა 723-ში, ეს

¹ აქვე შევნიშნავთ, რომ მესამე ტაეპში „დაჯდა“-ს მაგიერ უნდა იყოს „დესხდეს“ (ხელნაწერები: GJTF¹L¹Q¹) რადგან გაუგებარია, ვინ იგულისხმება სიტყვაში „დაჯდა“. მოცემულ მომენტში ეს არ მიეწერება რომელიმეს განსაკუთრებით, არც მეფეს და არც ავთანდილს. ამ სიტყვაში სუბიექტები უნდა იყვნენ იგინივე, ვინც იგულისხმება წინა ტაეპებში: ინადირეს... შემოიქცეს... შეიტანეს...

² ვარიანტი: გაუპირდა (ხელნაწ.: DGHJKOTUV...).

³ ვარიანტი: აუჩქარდა (ხელნაწ.: DEFIJLTUVZ...).

უკანასკნელი რუსთველისეულად იქნა მიჩნეული. მომდევნო სტროფი, რომელიც სრულიად საწინააღმდეგო აზრს შეიცავდა, ბუნებრივია, უარყვეს და გვიანდელ ჩანართად მიიჩნიეს. ალბათ, ასევე მოხდა 1937 წ. საიუბილეო ტექსტის მომზადების დროსაც.

რითაა საინტერესო ზემოთ მოტანილი სტროფი? მოცემულ ეპიზოდში მისი გათვალისწინებით მოიხსნება ის გაუგებრობა და სიტუაციების მოულოდნელი ცვლა, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ნადიმობის სურათს სულ სხვა მნიშვნელობა და ელფერი ეძლევა. აქედან ვგებულობთ, რომ ნადირობიდან მობრუნებულ ავთანდილს, მეფისა და დიდებულთა უზრუნველ მხიარულებას რომ უყურებდა, თავისი მომავალი მგზავრობა და თინათინთან გაყრის აუცილებლობა წარმოუდგა და გულს სევდა შემოაწვა. სუფრაზე უხალისოდ იჯდა, და, როგორც კი ნადიმი გათავდა, დანადვლიანებული შინისკენ გაემშურა. (ამის შემდეგ მოულოდნელი აღარაა ფრაზა: „ყმა მივიდა გულმოკლული...“).

სტროფი, რომელიც ამ შინაარსს შეიცავს, ჩვენი აზრით, უნდა აღდგეს პოემის ტექსტში. ხოლო ამისთვის, ტექსტიდან უნდა ამოვარდეს 723-ე სტროფი. რომელიც საპირისპირო აზრს შეიცავს და გაუგებრობას იწვევს. ჩავსვათ მის ადგილზე ეს ახალი სტროფი და წავიკითხოთ:

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი მინდორს რულნი,
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი! (722)

#74

ყმამან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმცა გამოჰპირდა?
მართალ ა, თუ საუბარსა აძვირებდა, ძვირად ღირდა;
სმა გარდახდა, გაიყარნეს ყმა წავილა, მიცასჭირდა,
ველარ გასძლო, გული შისი აუჩქარდა აუტირდა.

ყმა მივიდა გულ-მოკლული, ცრემლი ველთა მოედინა.
მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.
ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაემინა!
რაც ა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა. (724)

ვფიქრობთ, აღდგა აზრის ბუნებრივი მსვლელობა. 722-ე და 724-ე სტროფებში მოცემული სიტუაციები შეივსო, გამდიდრდა და ლოგიკურად დაუკავშირდა ერთმანეთს. შეიქმნა კონტრასტული და აზრობრივად უფრო დატვირთული სურათი. პოეტის მიზანიც ეს უნდა ყოფილიყო; არ უნდა ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ მთელი ერთი დღე-ღამის ამბის, ნადირობისა და ნადიმის აღწერით პოეტს სურდა

გადმოეცა ავთანდილის განწყობილება, ეჩვენებინა სასახლის ზეიმისა და ავთანდილის მწუხარების დაპირისპირება. მეფე და დიდებულნი მხიარულობენ, განცხრებიან და ფიქრადაც არ მოსდით, როგორ დარდსა და საგონებელშია ავთანდილი, რომელმაც მათ ლხინის საბაზი მისცა, თავისთვის კი ახალი განსაცდელი განიმზადა. დიდი რუსთაველი, ალბათ იმასვე ფიქრობდა, რაც შემდეგ ვაჟამ უფრო პირდაპირ გამოთქვა: ასეთიო კაი ყმის ბედი, „სხვები იყოფდნენ ნადავლსა, ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს“...

ახლად შემოტანილი სტროფი ენობრივად გამართულია და მის სიტყვათა განმეორებასა და ალიტერაციაში შესამჩნევად იგრძნობა რუსთაველის პოეტური ხელწერა. ეს სტროფი დაცულია ყველა ძირითად ხელნაწერში, როდესაც მის საპირისპირო - 723-ე სტროფს ორი ხელნაწერი (J T) არ იცნობს ამ ეპიზოდში. ეს ფაქტიც, ზემოთ თქმულთან ერთად, მხარს უჭერს უკანასკნელის შეცვლას პირველით.

ამის შემდეგ მოგვიხდება 723-ე სტროფის განხილვა ახალ ურთიერთობაში.

ხელნაწერებში ეს სტროფი გვხვდება სხვა კონტექსტშიც ე. ი. ერთსა და იმავე ხელნაწერში შეტანილია ორჯერ თითქოს თავისი ადგილი ვერ უპოვნია და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგან მიტმასნება უცდია. მაგალითად, ხელნაწერებში: CIKLMOXZD¹E¹G⁷ ზემოთ აღნიშნულ კონტექსტს გარდა, ეს სტროფი უფრო ადრე გვხვდება იმ ეპიზოდში, სადაც ავთანდილი პირველად აცნობს თავისი მგზავრობის ამბავს მეფეს და დიდებულებს:

სმა გარდახდა. თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა;
დიდებულნი არ გაუშვნეს, ყმა დაისვა ახლოს წინა;
მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ჭირი დაეთმინა,
მერმე მისი, უცნობოსა, რა ენახა, რა ესმინა (687).

ამას მოსდევს ჩვენთვის ცნობილი სტროფი:

ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ისმენდა⁴, ეუბნებოდა;
ბაგეთათ გასჭვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა,
ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს შორს ჯარი დაიჯრებოდა,
უტარიელო ხსენება არვისგან იკადრებოდა.

#75

და შემდეგ ავთანდილი იწყებს ტარიელის ამბის მოყოლას:

„მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყევ ახისა... (688,1)

J და T ხელნაწერებში სადავო სტროფი გვხვდება მხოლოდ ამ კონტექსტში.

⁴ იქვე, გვ. ტემთ.

თ. ბაგრატიონის აზრით, ეს სტროფი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო და არა იქ, სადაც ნაბეჭდ გამოცემებშია. ამ აზრს იზიარებს მკვლევარი გ. იმედაშვილი და თავის მხრივ დასძენს: „ეს სტროფი ბუნებრივი შევსება იქნებოდა 687, 688 სტროფებში აღწერილი სიტუაციისა; მათ შორის მისი მოთავსებით აღწერილ სურათს სიცხადე ემატება (ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 193).

ეს სტროფი აქ რომ მოთავსდეს, მაშინ რაიმე ახსნა და გამართლება უნდა მოეძებნოს შემდეგ ფაქტებს:

სადავო სტროფში ნაწილობრივ გამეორებულია (თუ პირდაპირ გადმოწერილი) 687-ე სტროფის შინაარსი.

შდრ: ყმა დაისვეს ახლოს წინა (687,2) და

ყმა ახლოს უჯდა მეფესა...

მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს (687,3) და

ჰკითხვიდა, ეუბნებოდა...

ხოლო სადაც აზრის გავრცობის ცდაა. იქ უკვე ულოგიკოებაში გადადის. მაგალითად, 687-ე სტროფში ნათქვამია, რომ მონადიმენი დაიშალნენ, მეფემ მხოლოდ დიდებულები დაიტოვა თავისთან. სადავო სტროფში კი ვკითხულობთ: „ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა“. საიდან გაჩნდა ეს „ჯარი“ (ვინც არ უნდა ვიგულისხმოთ მასში - სპა, ხალხი თუ მსახურნი, - სულ ერთია), აქ ხომ მხოლოდ მეფე და დიდებულები იყვნენ, მათში კი ვინლაა „ღირსად“ და „უღირსად“ დასაყოფი? ასევე უადგილოა მეოთხე ტაეპი: „უტარიელო ხსენება არვისგან იკადრებოდა“, რადგან ტარიელზე ჯერ სხვები ვერ ილაპარაკებდნენ, როცა თვით ავთანდილი ახლა იწყებდა მისი ამბის თხრობას.

თავისთავად ამ სტროფის პირველი და მეოთხე ტაეპები სტილისტურად გაუმართავია, მეტაფორებით „გაწყობილი“ მეორე ტაეპი კი, რომელსაც სტროფის მხატვრული ღირსების დაცვა ეკისრება, ამ თვალსაზრისით საკმაოდ სუსტია; აქ გამეორებულია ერთი წინადადება: „ბაგეთათ გასჭვირს ბროლ-ლალი“ (ბაგეებიდან ასხივებს, აშუქებს კბილები), მეორედ მეტაფორა - „ბროლ-ლალი“ - უკვე გახსნილია და იგივეს ვკითხულობთ: „მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა“ (კბილებიდან შუქი გამოკრთოდა). ეს გამეორება კი არ ამაღლებს და ალამაზებს მის აზრს. პირიქით, ამიშვლებს და ამდაბლებს, რითაც იკარგება თავისთავად არც ისე ძლიერი პოეტური სახის ემოციურობა.

ამ უადგილო გამეორებების, უაზრობისა და მხატვრული სისუსტის ახსნა მხოლოდ ერთი რამით შეიძლება, სახელდობრ იმით, რომ ეს სტროფი ჩვეულებრივი ინტერპოლაციაა. ჩვენი აზრით, იგი პირველად აქ უნდა შექმნილიყო 687-ე სტროფის მიბაძვით, მაგრამ შემდეგდროინდელმა გადამწერებმა შენიშნეს

#76

რა მეზობელ სტროფებში ერთი და იგივე წინადადებების გამეორების უხერხულობა და აზრის შეუსაბამობა, სცადეს სხვაგან მოეძებნათ მისთვის ადგილი. ამიტომ უნდა

მოხვედრილიყო იგი ახალ კონტექსტში, 722-ე სტროფთან. მას თან დაჰყვა აშკარა ნიშანი სიყალბისა: თითქოს ყველგან მოერგება და ამავე დროს საჭირო არსად არ არის, ორგანულად არ ეთვისება არც ერთ ადგილს, არაფერს არ მატებს ნაწარმოებს და მხოლოდ ამდვრევს პოეზიის წმინდა წყაროს.

ამიტომ ეს სტროფი განდევნილ უნდა იქნეს ძირითადი ტექსტიდან და იმ ციკლის კუთვნილება გახდეს, რომელსაც ჩანართებს ვუწოდებთ.